პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 12 აპრილი 1978 წ. № 86 (17130) ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია გაიხსნება 1978 წლის 14 აპრილს 14 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 12 და 13 აპრილს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 6, № 11, ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

14 აპრილს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1978 წლის 14 აპრილს 13 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

კოსმოსური ეპოპეის გმირებს გადაეცათ სსრ კავშირის ჯილდოები. სურათზე: ჯილდოების გადაცემის დროს. ხაკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საამაყოდ პატივს სცემს

კოსმოსური ეპოპეის გმირებს სსრ კავშირის ჯილდოები გადაეცათ

11 აპრილს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის საპატიო ჯილდოები გადასცა კოსმოსში 96-დღიანი გმირული ეპოპეის მონაწილეებს.

ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი მიენიჭათ სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მონაწილეებს ი. ვ. რომანენკოს, გ. მ. გრეჩკოს, ვ. ა. ჯანიბეკოვს, ო. გ. მაკაროვს, ა. ა. გუბარევსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეს მკვლევარ კოსმონავტს ვლადიმერ რემეკს.

ჯილდოების გადაცემისას გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს ჩვენთვის, ასე ვთქვათ, დიდი კოსმოსური დღეა. საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ეტაპის მონაწილეთა დამსახურებას. ის, რაც გაკეთდა 1977 წლის მიწურულს და 1978 წლის იანვარ-მარტში თითქმის ასი დღის მანძილზე, ნამდვილი გმირობაა. ეს არის მეცნიერული, ტექნიკური, ორგანიზაციული, მაგრამ უწინარეს ყოვლისა — წმინდა ადამიანური გმირობა.

გულმოდგინედ მომზადებულ და დიდი ცოდნით, ვაჟკაცობითა და მამაცობით განხორციელებულ ღონისძიებათა მთელი სისტემის წყალობით კაცობრიობამ ახალი შესაძლებელი ნაბიჯი გადადგა სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისა და ადამიანთა ნებისა და გონებისათვის მათი დამორჩილების გზაზე. ეს ნაბიჯი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში. დარჩება იმათი სახელებიც, ვინც ეს გააკეთა.

და ჩვენ ვამაყობთ, რომ კოსმოსის ამ ახალი ეპოპეის გმირები არიან ჩვენი საბჭოთა ადამიანები და მომძე სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე.

დიდი კმაყოფილებით შევასრულე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალება — ჯილდოები გადავეცი კოსმოსის გმირებს, საბჭოთა კოსმონავტებს ამხანაგებს იური რომანენკოს, გიორგი გრეჩკოს, ვლადიმერ ჯანიბეკოვს, ოლეგ მაკაროვს, ალექსი გუბარევს და ჩეხოსლოვაკიელ კოსმონავტს ამხანაგ ვლადიმერ რემეკს.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის, რაც გაკეთდა სამეცნიერო-კვლევითი ორბიტული კომპლექსის პილოტირებული ფრენის დროს.

ფრენის 96 დღე-ღამის განმავლობაში ამხანაგებმა რომანენკომ და გრეჩკომ გადაავლეს კოსმოსში ყოფნის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდს.

სადგური ორბიტაზე და ორი შეპირაპირებული კოსმოსური ხომალდი — აქამდე არც ასეთი რამ ყოფილა კოსმონავტიკის ისტორიაში.

პირველად ჩავიდა აგრეთვე ორბიტულ სადგურში დედამიწის ავტომატური წარგზავნილი — სატვირთო ხომალდი, რომელმაც სათბობის ახალი მარაგი, მასალები ხელსაწყოები და ახალი ფოტაკი ჩაიტანა. ყველაფერი ეს პირველად მოხდა და, მაშასადამე, ყველაფერი ეს განსაკუთრებით რთული, განსაკუთრებით პასუხსაგები იყო.

ყველაფერი ჩინებულად შესრულდა: ფრენაც, შეპირაპირებაც, დედამინაზე ფრენაც. სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის ფართო პროგრამაც.

კოსმონავტების გაწვრთნილობამ და ვაჟკაცობამ, იმათმა თავდადებულმა შრომამ, ვინც ფრენას ამზადებდა და მთელი ურთულესი კოსმოსური კვლევითი კომპლექსის ზუსტ, შეუფერებელ მუშაობას უზრუნველყოფდა, თავისი ნაყოფი გამოიღო. შეტანილია ახალი უდიდესი წვლილი მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევის განვითარებისა და გამოყენების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებაში. და აი, დამსახურებული ჯილდოებიც.

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული კომპლექსით წარმატებული ხანგრძლივი ფრენისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის „კოსმოსის ხანგრძლივ მინადართ“ მაღალი ჯილდოები მიენიჭათ. ამხანაგ იური ვიტორის ძე რომანენკოს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირისა და „სსრ კავშირის კოსმონავტის მფრინავის“ წოდებანი, ამხანაგ გიორგი მიხეილის ძე გრეჩკოს გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედალი.

„სალუტ-6“-„სოიუზ“ კომპლექსით ფრენის ჩინებული განხორციელებისა და ექსპერიმენტების დიდი პროგრამის შესრულებისათვის ამხანაგ ვლადიმერ ალექსანდრის ძე ჯანიბეკოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირისა და „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდებანი, ამხანაგ ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვს გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედალი.

მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, უთვალსაჩინოეს მიღწევას და გისურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობისათვის მეტად დიდმნიშვნელოვან კოსმოსის შემდგომი ათვისების მუშაობაში.

ამხანაგებო! „სალუტ-6“-„სოიუზ“ კომპლექსის ფრენამ დასაბამი მისცა აგრეთვე კოსმოსში ადამიანის მუშაობის პრინციპულად ახალ ეტაპს: პირველად მოეწყო საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის ფრენა. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მრავალი წლის ერთობლივ მუშაობას „კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისებისათვის ახლა ამ სივრცეში ერთობლივი ფრენაც დაემატა.

ეს, როგორც ცნობილია, მხოლოდ დასაწყისია. იგი გაგრძელდება. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა გასცდა ჩვენი პლანეტის ფარგლებს სამყაროს სივრცეებზე. ჩვენ გვიხარია ეს და ვამაყობთ ამით.

საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის წევრთა გმირობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებული განხორციელებისათვის ამხანაგი ალექსი ალექსანდრეს ძე გუბარევი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით, ამხანაგ ვლადიმერ რემეკს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გილოცავთ კოსმოსის საერთაშორისო ათვისების ძვირფასო პიონერებო, ამ მაღალ ჯილდოებს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი თაოსნობა ღირსეულად განვითარდება სოციალიზმის ქვეყნების დიდი თანამეგობრობის სასიკეთოდ.

ძვირფასო ამხანაგებო რომანენკო, გრეჩკო, ჯანიბეკოვ, მაკაროვ, გუბარევ და რემეკ! ჩვენი სამშობლოს მაღალი ჯილდოები, რომლებიც თქვენ მოგენიჭათ, კოსმოსურ ორბიტაზე თქვენი თავდადებული შრომის სამართლიანი შეფასებაა, მეცნიერების წინაშე, ჩვენი მომძე ხალხების წინაშე თქვენი დიდი დამსახურების აღიარებაა!

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ყველაფერ დაუცხრომლად სრულყოფთ ცოდნასა და გამოცდილებას, მეოდამ მზად იქნებით შეასრულოთ სამშობლოს დავალებანი ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესისათვის კოსმოსის კვლევასა და გამოყენებაში.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმთელობას, ბედნიერებას და ახალ დიდ წარმატებებს თქვენს ძნელ შრომაში.

ნება მიბოძეთ, თქვა ი. ვ. რომანენკომ, გულითადი მადლობა მოვახსენო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, ნდობისათვის, ესოდენ მაღალი ჯილდოსა და „სალუტ-6“-„სოიუზ“ კოსმოსური სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ფრენის მონაწილეთა საქმიანობის დიდი შეფასებისათვის.

ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა წარმატებით დამთავრდა იმის წყალობით, რომ ჩვენ დღეიადაგ ვგრძნობდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მამობრივ ზრუნვას, ჩვენი საბჭოთა ხალხისა და პირადად თქვენს, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, მხარდაჭერას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა მისალმებამ „სალუტ-6“-„სოიუზ“ კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟისადმი, შთაგვაგონა და ახალი ძალები შეგვმატა რთული ფრენის დასამთავრებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ნიჭიერმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, შესანიშნავ მუშათა შრომამ ჩვენს ქვეყანაში შექმნეს მსოფლიოში საუკეთესო, მუშაობაში მოსახერხებელი და საიმედო კოსმოსური ტექნიკა.

გვიხარია, რომ „სალუტ-6“ სადგურის ექსპედიციის მონაწილე იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე ვლადიმერ რემეკი. ჩვენი, სოციალისტისა და სხვა ეკიპაჟების მიერ პროგრამის წარმატებული და სრული შესრულება ადასტურებს, რომ სწორი და მეცნიერულად დასაბუთებულია ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისათვის კადრების მომზადების სისტემა.

ჩვენ, განაცხადა ი. ვ. რომანენკომ, დიდად ვამაყობთ ჩვენი დიადი სამშობლოთი, რომელმაც პირველმა აღმართა სოციალიზმის დროშა და პირველმა გაუკვალა ადამიანის გზა. ჩვენ ვამაყობთ, რომ სახელოვანი კოსმონისტური პარტიის წევრები და სსრ კავშირის მოქალაქეები ვართ. სამშობლოს მაღალი ჯილდოების პასუხად ვამბობთ: „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს!“

თავის გამოსვლაში ვლადიმერ რემეკმა თქვა: ჩემი სამშობლოსათვის — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისათვის, პირადად ჩემთვის თავისთავად უკვე დიდი ჯილდო იყო ამ საერთაშორისო კოსმოსურ ფრენაში მონაწილეობა. დიდ მადლობას მოგახსენებთ მაღალი ჯილდოსათვის, ნდობისათვის, რომელიც მე გამიწიეს კომუნისტურმა პარტიამ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ.

აღვთქვამთ: არ დავზოგავ ძალ-ღონეს ჩვენი ხალხების მეგობრობის განსამტკიცებლად.

ვლადიმერ რემეკმა კოსმოსში პირველი საერთაშორისო ფრენის სამახსოვროდ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გადასცა ქანდაკება, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ძმურ მეგობრობას.

ყველა დაჯილდოებულმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. მათ აღუთქვეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ კოსმოსის შემდგომი კვლევისა და გამოყენების საქმეს, ხელს შეუწყობენ. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის უფროსი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი გ. ტ. ბერეგოვი. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სარისხობრივ ეაჩვენებლებს — განსაკუთრებული ყურადღება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს 1978 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შედეგები და მეორე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულების ამოცანები.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზ. ა. ჩხეიძის მოხსენება.

პარტიული კომიტეტების მთელმა რიგმა მდივნებმა, საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ახსნა-განმარტებანი ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში დაშვებული ჩამორჩენის გამო.

განხილულ საკითხზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

დასახულია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შემდგომი დაჩქარების ღონისძიებანი.

იმის შედეგად, რომ გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა ეკონომიკის პროცესებისადმი, განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მანძილზე ეკონომიკის განვითარების ტემპსა და პროპორციებში საგრძნობი დადებითი ძვრები მოხდა.

თუმცა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, წარმოების ზრდის ტემპმა მთლიანად კვარტალში 107,7% პროცენტს მიაღწია პირველი ორი თვის 106,4 პროცენტის ნაცვლად. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 30,6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. შესამჩნევად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციის გეგმას ვერ ასრულებენ.

კმაყოფილებით აღნიშნეს რა ეს წარმატებანი ინდუსტრიის დარგში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ყურადღება დაუთმეს გადაუწყვეტელ პრობლემებს, იმ ამოცანებს, რომლებიც მეორე კვარტალში უნდა გადაწყდეს.

სერიოზული შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების მთელი რიგი ხელმძღვანელები კვლავაც ადგანან დაგმობილ პრაქტიკას, როცა ყოველნაირად ცდილობენ როგორმე მიიღონ ადგილად შესასრულებელი გეგმები წლის დამდეგს და საწარმოო პროგრამების მთელი სიმძიმე მისი დამლევისათვის გადაიტანონ, — როგორც ჩანს, იმ იმედით, რომ საჭიროების შემთხვევაში გეგმას შეასრულებენ შემცირების თვალსაზრისით. დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა იმას იწვევს, რომ წლის დამლევს იქმნება მეტად დაძაბული ვითარება, იწყება საქმის მდგომარეობის გამოსწორების ყველა საშუალებისა და გზების ძიება, მკვეთრად იზრდება ზეგანაკვეთური სამუშაოთა მოცულობა. ეს ყარყოფით გავლენას ახდენს მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე შრომითს კოლექტივებში და მათი მუშაობის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე, პროდუქციის ხარისხზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარეობის საწარმოების ხელმძღვანელებს მიუთითეს, რომ საჭიროა უახლოეს დროში გაანალიზონ წლიური გეგმის კვარტალური განაწილება და გადასინჯონ იგი, რათა უწყვეტელყონ მეორე კვარტალის გეგმების საკმარისი დაძაბულობა და ზრდის საჭირო ტემპი.

გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. „გეგმების გარშემო შეიძლება და კიდეევაც უნდა ვიდავოთ, შეიძლება მათი დაზუსტება, განხილვა შემოგვაგების საზადაში. მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, როცა გეგმა დამტკიცდება და კანონის ძალას ძიიღებს, რჩება მხოლოდ ერთი მოვალეობა — განუხრელად და ყოფოდ შესრულდეს იგი. ასეთია პარტიის მოთხოვნა. თუ წარმოების მოცულობის საგეგმო დავალებს პირველ კვარტალში თავი ვერ გაართვა მხოლოდ 21 საწარმომ, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპი შეამცირა 165 საწარმომ, რომლებმაც 1977 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 30,2 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია აწარმოეს. ამ საწარმოებს რომ შეენარჩუნებინათ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის შარშანდელი დონე, რესპუბლიკაში იგი 109,7 პროცენტს მიაღწევდა. განსაკუთრებით ბევრი საწარმო, რომლებმაც შეამცირებინეს წარმოების მოცულობანი, მოდის კვების მრეწველობის, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, „საქსოფლტექნიკის“ წილად. გარდა ამისა, კიდევ მთელმა რიგმა გაერთიანებებმა და საწარმოებმა მოახდინეს პირველი კვარტალის გეგმების კორექტირება-შემცირება, ესენი თბილისის ჩარსხშენებელი საწარმო გაერთიანება (გენერალური დირექტორი — დ. ა. კიკნაძე), შორაპნის „ელექტროლექტენტის“ ქარხანა (დირექტორი — ვ. ვ. ბაჩიაშვილი), გორის შპალსაყრელნი ქარხანა (დირექტორი შ. ა. კაკაურიძე), სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხანა (დირექტორი — ბ. ა. სეისიანი) და სხვები. იმ პირობებში, როცა ყოველი საერთო-საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ეკონომიკური, უწინარეს ყოვლისა, ინდუსტრიული განვითარების უმოკლეს ვადაში შედარებითი ჩამორჩენის ლიკვიდაციის ამოცანები, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ვერაფერი ბიდენაა ასეთი საგეგმო დავალების შესრულება, რომლებიც დაძაბული არ არის, ზოგჯერ კი ფაქტიურ ზრდასაც არ იძლევა. მეურნეობრიობის ასეთი მანკიერი პრაქტიკა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დავალებანი. მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეამცირეს ხუთწლიდან გაანგარიშებებთან შედარებით დავალებანი ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება დამზადების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხასდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს. ამ და ზოგიერთი სხვა სამინისტროს, უწყების, გაერთიანებისა და საწარმოს ხელმძღვანელები სუსტად მართავენ პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის ნაყოფიერების დონეს, არ ავლენენ მისი გადიდების რეზერვებს, საქმის უნარიანი ორგანიზაციით კი არა, მუშაკთა რიცხვის გადიდებით ცდილობენ წარმატების მიღწევას. ამიტომ მრეწველობაში შეიქმნა მუშაკთა ზეგეგმითი რიცხვის გადიდების არაჯანსაღი ტენდენცია, რაც ეწინააღმდეგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXV ყრილობის ფუძემდებელ მითითებას იმის შესახებ, რომ მოქმედ საწარმოებში წარმოება უნდა გაიზარდოს მუშაკთა რიცხვის მოუმატებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ჩამორჩენის ძირითად მიზეზებს შორის დაასახელეს ის, რომ არ სრულდება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის დავალებანი, ნელა იზრდება შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. ამავე დროს, როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოწმობენ, მრეწველობაში მუშათა საერთო რიცხვის 30 პროცენტზე მეტი სამუშაოს ხელით ასრულებს.

დიდია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი მფლანგველურად იყენებს მატერიალურ, შრომითა და ფინანსურ რესურსებს. სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საწარმოებში თვითღირებულების დაგეგმვის ეკონომიზებას, არ წარმართავენ და არ ამოწმებენ მათ მუშაობას ამ დარგში. ცუდად ეხმარებიან სგეგმო-ეკონომიკური მუშაობის წარმოების დახასიათების აღრიცხვის პროდუქციის ღირებულების კალკულირების სრულყოფაში. მეტ-ოდენ საწარმოებში სისტემატურად არ ანალიზებენ პროდუქციის ღირებულების გეგმის შესრულებას, არ იყენებენ მისი შემცირების რეზერვებს. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კვლავ განაცხადეს: „უფრაფდება, დაუთმეს ამას, რომ აუცილებლად უნდა გადაწყდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებით დეტალურად განიხილეს, თუ როგორია ახლა საქმის ვითარება რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, რომლის საწარმოთა წილად მოდის საქართველოს ინდუსტრიის მთელი პროდუქციის 40-მდე პროცენტი. კვების მრეწველობის მუშაკებმა პირველ კვარტალში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ ამასთანავე სამინისტროს სამეურნეო-საწარმოო საქმიანობაში არის საძიებელები და ნაკლოვანებანი, წარმოების ზრდის გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

რესპუბლიკაში ფართოდ დაუპირეს მზარი პატრიოტულ მოძრაობას — ვიმუშაოთ ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე. ახლა ამოცანა ის არის, ხაზი გაუსვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომ ეს თაოსნობა გავრცელდეს შიდასაქარხნო რგოლებში — საამქროებში, უბნებში, ბრიგადებში. ეს ადვილი არ არის, მაგრამ რეალურია. სისტემატურად და ღრმად უნდა ვაანალიზებდეთ კოლექტივების საქმიანობის შედეგებს. უნდა გავაანალიზოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოების მუშაობა, იქ კი, სადაც ასეთი საბჭოები არ არის, — დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნათ ისინი. ჩამორჩენილ საამქროთა, უბანთა და ბრიგადათა გარეშე მუშაობის საკითხებს „უშუალოდ და აქტიურად უნდა განაგებდნენ სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა ეკ-

(დასასრული მე-2 გვ.)

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

11 აპრილს 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა განაგრძო რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს თ. დ. ულაკოვს, ბ. ს. სოლომენცევს, ი. პ. რიაბოვს.

დეპუტატები იხილავენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტს. (საკდესი).

11 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

მოსკოვში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ, რომელმაც უნდა მიიღოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). „პრავდა“ ვრცლად ბეჭდავს სესიის გახსნისა და მიმდინარეობის მასალებს.

„პარტია ხალხთან ერთად, ხალხი პარტიასთან ერთად“ — ასეთი სათაურით გაზეთი ბეჭდავს საბჭოთა ადამიანების გამოხმაურებას ცემბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგზაურობის თაობაზე.

პირველ გვერდზე მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ცნობებს სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

„პარტიული ცხოვრება: საქმე, რომელსაც ემსახურები“ — ამ რუბრიკით გამოქვეყნებულია „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის ვ. ბელოუსოვის წერილი ჩერნიგოვის ოლქიდან „საქალაქო კომიტეტის სკოლა“, რომელიც გვიამბობს ქალაქ პრილუკის პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის გამოცდილებაზე. აქვე დაბეჭდილია განყოფილება — „პრავდას“ სწერენ“.

მოსკოვი მხურვალედ შეეგება საერთაშორისო კოსმოსურ ეკიპაჟს — მესამე გვერდზე დაბეჭდილია რეპორტაჟი საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირებთან ი. რომანენკოსთან და გ. გრეჩკოსთან, ა. გუბარევთან და ვ. რემეკთან შეხვედრის შეახებ.

„ერთად მოვამზადოთ ზოსწავლები მატერიალური წარმოების დარგში შრომისათვის“ — ასეთი ინიციატივა გამოიჩინეს მოსკოვის მოწინავე საწარმოებისა და სასწავლებლების კოლექტივებმა. ნომერში გაეცნობით გაზეთის კორესპონდენტის საუბარს ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორთან ვ. მელნიკოვთან.

გაზეთის მეოთხე გვერდზე მოთავსებულია ვრცელი განყოფილება „ხელოვნების სამყარო“.

ПРАВДА

ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲒᲐᲜ

ხარისხობრივ მაჩვენებლებს — განსაკუთრებული ყურადღება

(დასასრული).

ონომიკური სამსახურები და ეკონომიკური ანალიზის ბიროები. ნელიაბინსკელთა მაგალითისამებრ, პრაქტიკულად უნდა დანერგოთ გარკვეული ვადით სუკეთესო და ჩამორჩენილ საწარმოთა შორის სპეციალისტების ჯგუფების გაცვლა.

პირველ კვარტალში გარკვეული მუშაობა შესრულდა სამშენებლო სიმენტის დაყენების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებითაც. მაგრამ ამ ობიექტზე სრულიადაც არ აღმოფხვრილა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც განსაკუთრებით შეუწყარებელია ბინების, საბავშვო დაწესებულებების, სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. ამასთან დაკავშირებით მწვავედ გაკრიტიკეს ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ვარკიხეპესის მშენებლობის არანორმალურ მდგომარეობაში. „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტმა (მმართველი — ი. ი. არობელიძე) ეს ობიექტი აანშენა უხარისხოდ, დიდი ხარჯებითა და ნაკლოვანებებით. დიდი ბრალი ედება „თბილჰიდროპროექტსაც“ (დირექტორი — ნ. მ. მღებრიშვილი) იმის გამო, რომ დროზე ვერ უზრუნველყოფდა მშენებლობას ტექნიკური დოკუმენტაციით, დაუშვა რიგი შეცდომები, რომლებმაც მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლა გამოიწვია. „საქმთავარენერგო“ (უფროსი — უ. ფ. ცქვიტინიძე) გულგრილად მოეკიდა თავის. როგორც შემკვეთის, მოვალეობებს. მუდმივ და ქმედითს კონტროლს არ უწევდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხიან და დროულ შესრულებას. საკმარ ოპერატიულობა არ გამოიჩინა მოწყობილობითა და სპარეტო დოკუმენტაციით ვარკიხეპესის მშენებლობის უზრუნველყოფაში. დაუშვა, რომ სადგური საექსპლოატაციოდ გადაეცათ დიდი ხარვეზებით.

წლევანდელმა დაგვიანებულმა გაზაფხულმა, აგრეთვე ხშირმა ნალექებმა რამდენადმე უარყოფითი გავლენა მოახდინა სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე. მაგრამ ავდრის მიუხედავად. დროზე და ხარისხიანად დათესეს საგაზაფხო კარტოფილი ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეურნეობებმა. შარშანდელთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით ითესება მზესუმზირა. ბიჩეული და მრავალწლოვანი ბალახები.

მაგრამ პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყველგან ვერ შეძლეს წლევანდელი უამინდობისათვის დაპირისპირებინათ საწარმოო კოლექტივების მაღალი ორგანიზებულობა და მობილურობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, აგრეთვე თითოეული დარიანი დღისა და საათის ეფექტიანი გამოყენება.

სერიოზული ჩამორჩენაა მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, ერთწლოვანი ბალახების, საკვები ძირხვენების, თესვაში.

მთელ რიგ რაიონებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ნელი ტემპი ბევრად განპირობა იმ გარემოებამ, რომ დაბალია ტექნიკის მზადყოფნის დონე, აგრეთვე საკმარისი არ არის მექანიზატორთა კადრები. თითქმის ყველგან დაბალია სატრაქტორო აგრეგატების ცვლის გამომუშავება. ბევრ რაიონში სათანადო ყურადღება არ ეთმობა კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსურ-მექანიზებული რგოლების შექმნას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უაღრესად საფუძვლიანი განხილვის საგანი გახდა მეცხოველეობის მდგომარეობა. პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხორცის წარმოება, ერთი მოქცეულის საშუალო მეკვირეობა, ხბოებისა და ზაქების, აგრეთვე გოჭების ნამატი გაიზარდა. გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხისა და ფრინველის სულადობა; შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის გაწყდომა.

ამასთანავე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ძროხების სადგომ სულადობის რიცხვის შემცირება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოლიან წველადობაზე.

ხორცისა და რძის დამზადების გეგმების შესრულებაში უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა. ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საკვების მწვავე ნაკლებობა იყო. ამ მხრივ მეტად ცუდად არის საქმე მარნეულს, ახალციხის, ხაშურს, გორის, ჭალეულს, საგარეჯოს, წითელწყაროს, სამტრედიის, ლანჩხუთის რაიონებში, სადაც პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად არსებული საკვების უდიდესი ნაწილი ამავე დროს მეტად დაბალი ხარისხისაა.

უფრო მეტიც, სიღნაღის რაიონში სტატისტიკური ანგარიშმგებლობის მდგომარეობის შემოწმებამ გამოაკლინა წამატების საკვების დამზადების გეგმის შესრულებაში (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი — ე. მ. მახაშვილი). ბევრ რაიონში კონტროლს არ უწევენ საკვების დამზადებას, შემოსავალში გატარებას, შენახვასა და გამოყენებას, რითაც აიხსნება მნიშვნელოვანწილად მეცხოველეობაში შექმნილი დაძაბული ვითარება.

მთლიანი წველადობისა და რძის შესყიდვის შემცირების დასახული საგანგაშო ტენდენცია იმითაც არის განპირობებული, რომ მეურნეობებში სწორად არ ხდება ძროხების ზოოტექნიკური წუნდება. მთლიანი წველადობა შემციროდა დუშეთის, ყვარლის, ახმეტის და ეწერის ზონაში. თუმცა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ინტენსიურად შემოჰყავთ სანაშენე და გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვი. იმის გამო, რომ ყველა რაიონში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შემოყვანილი პირუტყვის რაციონალურ კვებასა და სწორ მოვლას, მისი დიდი ხვედრითი წონა აკლდება მეურნეობებს გაწყდომისა და ძაულებითი დაკვლის მიზეზებით. მნიშვნელოვანი ნაწილი კი აღარ გამოდგება მომრავლებისათვის. შემოყვანილ პირუტყვს სწორად არ იყენებენ მაგალითად წულუკიძის რაიონში (რაიკომის პირველი მდივანი — ვ. შ. კურცხალია), სადაც სერიოზული შეცდომები და ხარვეზებია დაშვებული მთელი რაიონის ეკონომიკის პარტიულ ხელმძღვანელობაში და კადრების პოლიტიკის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მეცხოველეობაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც ზნორად გამორჩებათ ხოლმე მხედველობიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებსაც და აგდილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებსაც.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აღმასკომებმა ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ პირველი კვარტალის მუშაობის შეჯამების განხილვის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოტანილი დასკვნები და მთელი თავიანთი პოლიტიკური იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა წარმართონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, რათა კიდევ უფრო დააჩქარონ ეკონომიკის განვითარების ტემპი, გაუმჯობესონ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. (საქინფორმი).

ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ!

როცა კონსტიტუციის პროექტს ვკითხულობთ

ასეთია საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება

სოხუმი

გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-8 სესია. მოისმინეს და განიხილეს პარტიის ხაოლქო კომიტეტის მდივნის ლ. ვ. მარშანიას მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ“. სესიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღმავლობითა და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღება კიდევ ერთხელ დაამტკიცებს საქართველოს მშრომელების, მათ შორის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელების მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მოცულობა იყო საბჭოთა ხალხისათვის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება. თქვეს, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტი და სესიის მონაწილეებს აღუთქვეს, რომ შემოქმედებითი შრომით უპასუხებენ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ“ გაიკეთა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. შ. ხინთბამ.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შეძენილი გამოცდილება და გააჩაღეს აქტიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მრავალეროვანი აფხაზეთის მშრომელებისათვის სიქართველის სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობის განსამარტავად. ავტონომიური რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაიმართა 2.250 ზე მეტი კრება, რომლებშიც მონაწილეობდა 250 ათასამდე კაცი, გამოვიდა 20 ათასზე მეტი. კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად შეტანილია 440 წინადადება, დამატება, აგრეთვე შენიშვნა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით. ადგილებზე მიმდინარე პროპაგანდისტული მუშაობა მიზნად ისახავდა მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის შემდგომ მობილიზაციას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმის მონაწილეები მოლიანად და სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს, რომლის მიზანია კიდევ უფრო განაკითაროს და განამტკიცოს სოციალისტური საზოგადოების დემოკრატიული საფუძველები.

ბათუმი

ბათუმი. გაიმართა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

სესია გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნ. სარაშვილმა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. დიასამიძის მოხსენებამ და დეპუტატთა გამოსვლებმა ცხადყო, რომ საქართველოს სსრ ძირითადი კანონის პროექტის გამოქვეყნებასა და ფართო განხილვას ავტონომიური რესპუბლიკის მუშაობის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დიდი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა მოჰყვა. საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი აჭარაში განიხილეს სახალხო დეპუტატთა ყველა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს სესიებზე, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა 3156 დეპუტატი. მათგან 444-მა წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი პროექტის ცალკეული კარებისა და მუხლების გამო.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ კონსტიტუციის პროექტში დასახულია ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების, პიროვნების სრულყოფის, შრომის პირობების გაუმჯობესების პერსპექტივები, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობის პერსპექტივები.

ღრმად სიმბოლურია, აღნიშნეს დეპუტატებმა, რომ საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას ვიღებთ დედასაქართველოსთან აჭარის შეერთების მე-100 წლისთავის წელს. აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებაში მთლიანად და სავსებით მოიწონეს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. მათ განაცხადეს, რომ პროექტის განხილვა, რომელიც ახალი ძალით ცხადყო აჭარის მშრომელთა მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, რაზმავს მშრომელთა მასებს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

ცხინვალი

გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეხუთე სესია. მოხსენება „საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ გაიკეთა სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ჰ. მარდანოვმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტში მკაფიოდ და სრულად აისახა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მონაპოვარნი და მიღწევები. პროექტის გამოქვეყნებამ, აღინიშნა სესიაზე, უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. ბევრმა კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრა და შრომითი საჩუქრებით ეგებება 14 აპრილს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები განიხილავენ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტს. კრებებსა და მიტინგებში, რომლებზეც უდიდესი ენთუზიაზმითა და ინტერესით განიხილავდნენ პროექტს, მონაწილეობა მიიღო ოლქის თითქმის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ. შეტანილია 150-ზე მეტი კონკრეტული წინადადება და შენიშვნა პროექტთან დაკავშირებით.

სესიაზე კმაყოფილებით აღინიშნა ის სიმბოლური ფაქტი, რომ რესპუბლიკის ახალი ძირითადი კანონი მიიღება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 56 წლისთავის წინ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების დარგში. ეს პირდაპირი შედეგია ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკისა, რომელიც უურადღებას არ აკლებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აყვავებას.

დღეს სამხრეთ ოსეთმა 100-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1922 წლის სამრეწველო წარმოების დონეს.

საგრძნობი მიღწევები აქვს ავტონომიურ ოლქს სოფლის მეურნეობაშიც. სწორედ სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა შედეგი იყო, რომ ამ ცოტა ხნის წინ ოლქი ზედიზედ მეოთხედ დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მიღებულ გადაწყვეტილებაში სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

ცხინვალი. გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. მოხსენება „საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გაიკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად და საქართველოს სს რესპუბლიკის თავისებურების გათვალისწინებით, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია და შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს, იმუდსა და მისწრაფებებს, უზრუნველყოფს მათ უფლებებს, განსაზღვრავს მოვალეობებს.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი განიხილეს სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, საქალაქო, რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების სესიებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე.

ავტონომიურ ოლქში რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტის განხილვაში მონაწილეობდა 35.867 კაცი — სამხრეთ ოსეთის თითქმის მთელი მოზრდილი მოსახლეობა. გამოვიდა 4.000-მდე კაცი. წამოყენებულია 117 კონკრეტული წინადადება და დამატება, გამოთქმულია ბევრი კრიტიკული შენიშვნა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების შედეგად გაუმჯობესებისა და დახვეწისათვის.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობებს, პარტიის ზრუნვას დამკვიდრებული შრომით უპასუხებენ. ოლქის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების 1978 წლის პირველი კვარტალის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

ქუთაისი

რესპუბლიკის დედაქალაქ შიდიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ეწყობა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების სესიები. ისინი განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს, მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის ლენინურ კურსს, გულითად მადლობას მოახსენებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროსა და მის მეთაურს, გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, მშვიდობის დაუღალავ მებრძოლს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დაუცხრომელი ზრუნვისათვის ხალხის კეთილდღეობაზე, საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის აყვავებაზე.

სურათზე: თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწე ახალგაზრდა კომუნისტი ი. ფანჩულიძე ესაუბრება დეპოს მემანქანეთა თანაშემწეებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ხ. პილაძის ფოტო.

გაიმართა ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია. სესიის დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი „საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა“.

მოხსენება გააკეთა ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ავალიანმა.

— საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელსაც დღეს განვიხილავთ, — თქვა მან, — უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე. იგი კანონით ამკვიდრებს იმ ძვრებსა და ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში მოხდა 40 წლის მანძილზე, ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ და სრულად არის ჩაფიქსირებული სოციალისტური დემოკრატიის უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, დემოკრატიისა, რომელიც სულ უფრო ღრმა ზეგავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების მთელ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, — თქვა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორმა ა. ჩხიკვაძემ.

სესიაზე გამოვიდნენ აგრეთვე ქართული სახელმწიფო ენციკლოპედიის განყოფილების გამგე ს. კინწურაშვილი, საწარმო „თბილენერგომრმლის“ მუშაკი ლ. თოდუა და სხვები.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

* * *

თავიანთი შრომითი კოლექტივების სახელით გამოსულმა მშრომელებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ დამკვრცულური შრომით აღნიშნონ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, დადგენ სამაისო შრომითს ვახტზე, სანამუშოდ ჩაატარონ კომუნისტური შაბათობა, წარმატებით შეასრულონ — მოლიანად და გადაჭარბებით გაანაღდონ ხუთწლედის მესამე წლის დავალება.

ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების სესიებმა ცხადყვეს, რომ სახალხო საბჭოების დეპუტატებს კაგდე ესმით, თუ რა ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული და მზადა არიან პირნათლად შეასრულონ თავიანთ კონსტიტუციური მოვალეობანი, იყვნენ გაწეული ნდობის ღირსნი.

ჟუთაისი

ჟუთაისი. 11 აპრილი. აქ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი და ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გაიკეთა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. ბეჟანიძემ, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების მეთაური საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ლ. ზარანდიამ, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგემ ბ. ურუშაძემ, ავტოქარხნის გამომცდელმა მძღოლმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. ვაშაკიძემ, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ადალიანმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი.

(საქინფორმი).

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲨᲠᲝᲛᲐ, ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲔᲠᲜᲘᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲒᲘᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ, ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲐᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲒᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐ.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲙᲐᲠ ᲕᲣᲚᲐᲚᲐᲙᲢᲔᲑᲗ

ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი აღმავლობით ემზადება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულისათვის.

ჩვენს სადღესასწაულო საქმიანობას რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ამ დღეებში კიდევ უფრო მეტი ინფორთოვანება, ენთუზიაზმი და შრომითი ჰეროიკა შემატა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ.

რესპუბლიკის კოზორებაში მომხდარი ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქცა სწორედ იმის ერთერთ მამოძრავებელ ძალად, რომ ჩვენს კოლექტივს ვადაზე ოთხი დღით ადრე შეესრულებინა პირველი კვარტალის დავალება. პირველი ეპრილისათვის გეგმის გადამეტებით იქნა წარმოებული 115 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოში ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. გაჩეჩილაძის მოწოდებამ: ხუთწლედის სამი წლის დავალება სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის. თავდადებული შრომით ბევრმა მუშამ უკვე საკმაოდ გაუსწრო დროს. მაგალითად, ზეინკალი ო. მახარობლიძე და ხარატი ა. ჯავახიშვილი 7 ოქტომბრისათვის პირადი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას ვარაუდობენ. ამ მხრივ ასევე მოწინავეთა რიგებში დგანან უ. კიკნაძის დურგალთა, რ. კაშიასა და რ. იორდანიძის ზეინკალთა ბრიგადები.

და აი, ამ დღეებში ჩვენთან კვლავ ახალ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. ელექტროზეინკალთა და დურგალთა ბრიგადებმა, რომლებსაც ა. პავლიაშვილი და ი. კოკოზოვი ხელმძღვანელობენ, გადაწყვეტეს სამი წლის გეგმა პირველი მაისისათვის, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისათვის შეასრულონ. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ საწარმოს მშრომელები და, რადგან მათ სიტყვის გატეხვა არ სჩვეოდათ, იმედია ამ ზღუდესაც წარმატებით დაძლევენ და ახალი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან მეათე ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხულის ამ დიად ზეიმს.

ზ. ᲖᲐᲓᲘᲙᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲘᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲜᲐ...

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲪᲕᲚᲐ

ᲐᲮᲚᲐ, როდესაც უკან დარჩა ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გატარებული ოთხ ათეულ წელზე მეტი, ძნელია კაცმა ყველაზე ღირსსახსოვარი მომენტი გაიხსენოს მიჩირს. რომელს მივცე უპირატესობა. ალბათ იმ დღეს, როცა პირველად გადმოვაბიჯე ქარხნის ზღურბლს ფეხი, ამას მოჰყვა მუშის პროფესიის საიდუმლოებათა შეცნობა. პირველი გამარჯვება... შემდეგ ლენინის ორდენით დაჯილდოებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევით, დამსახურებული რაციონალიზატორის, ს

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲖᲐᲚᲖᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ და 23 აპრილამდე გასტანს ხაგაზაფხულო ტრადიციული მხატვრის ყვირეული, რომლის დევიზია „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ“. ყვირეულის მიმდინარეობის თაობაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ჯანბერიძეს.

— ᲤᲚᲔᲒᲐᲜᲔᲚᲘ ყვირეული განსაკუთრებულია, — თქვა ნ. ჯანბერიძემ. — შესრულდა 60 წელი, რაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელსაც შემდეგ მონუმენტური ხელოვნების პროპაგანდის ლენინური გეგმა დაერქვა. ამ გეგმამ დიდი როლი შეასრულა ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის განვითარებისათვის, ჩვენი ხალხის ესთეტიკური აღზრდის შემდგომში ამაღლების საქმეში.

ყვირეული დაიწყება საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმით, რომლის თემაა „მონუმენტური ხელოვნების პროპაგანდის მე-60 წლისთავი და ქართული საბჭოთა ხელოვნება“, ხოლო, შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნება „საგაზაფხულო გამოფენა“.

ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, რომ ყვირეული საინტერესო გამოსულიყო. შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის გასვლითი სხდომა ჭ. ბაფუმში, შეხვედრა აჭარის დედაქალაქის შრომელებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მეზღვაურებთან. ბავშვთა სურათების რესპუბლიკური გალერეაში გავხსნით საბავშვო ნახატების გამოფენას, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის სვეტრიან მაისაშვილის შემოქმედების პატივისმცემლებს უმასპინძლებს ხელოვნების მუზეუმთა სახლის საგამოფენო დარბაზი.

გაიხსნება კიდევ ორი გამოფენა: მხატვარ-გრაფიკოს ლ. შაბარშინასი გამომცემლობა „მერნის“ საგამომცემლო დარბაზში და მხატვარ გ. მირზოევისა (გამოყენებითი ხელოვნება) საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

ყვირეულის დღეებში თბილისის სკოლების მოსწავლეები შეხვდებიან საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრებს ლ. გუდიაშვილსა და უ. ჯაფარიძეს.

განზრახულია მხატვართა შეხვედრა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედ კოლექტივთან. იქვე, კინოსტუდიაში მოეწყობა კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

18 აპრილს ლ. ქიაჩელის ქუჩაზე, სახლში, სადაც ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მხატვარი ილინე ახვლედიანი, გაიხსნება მხატვრის სახლ-მუზეუმი და მემორიალური დაფა.

რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ყვირეულთან დაკავშირებით გამოვიდა ერთდროული გაზეთი „მხატვარი“. მასში მკითხველი გაეცნობა საინტერესო მასალებს, ქართველ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს.

ეს არის არასრული გეგმა იმ ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებას ყვირეულის დღეებში ვიპირებთ.

საქართველოს მხატვართა კავშირი ტრადიციულად ყოველ გაზაფხულზე აკამებს წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის კონკურსის შედეგებს. აქჯერად პრემიის ლაურეატები გახდნენ მხატვარი ბ. შველიძე, მოქანდაკე რ. გაჩეჩილაძე, გრაფიკოსი ლ. შენგელია-აბაშიძე, თეატრალური მხატვარი თ. მურვანიძე, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი მხატვარი გ. ყანდარელი და ხელოვნებათმცოდნე გ. ალიბეგაშვილი.



ᲞᲚᲔᲜᲔᲠᲖᲔ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ. Ზ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲗᲐᲨᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თაოსნობით ხელოვნების მუზეუმთა სახლში მოწყობილ ჟურნალისტი მხატვრების ნამუშევრების გამოფენაზე დევიზით — „ჟურნალისტები ხელოვნებაში“ იყვნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი კარლ ნორ დენსტრენგი და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ანატოლ რიჟკოვი. საპატიო სტუმრები მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ჟურნალისტ მხატვრებს.

მონაწილე მხატვართა სიმცირის მიუხედავად, გამოფენა საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდა.

მრავალი საინტერესო ნამუშევრის ავტორია საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ანდრო კანდელაკი. მხატვარმა ამჯერადაც შესანიშნავი კარიკატურები წარმოადგინა.

წყნარი, კოლორიტული ფერთა გამით გამოირჩევა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მხატვრული რედაქტორის ალექსი ბალაბუევის აკვარელით შესრულებული პეიზაჟები, „ძველი თბილისი“, „სოღამო“, „გომბორი“.

ცინარა ტერეზაძე გამოფენაზე წარდგა სერიით „შემოდგომა კახეთში“. დამთვალიერებლებს მოსწონთ მისი „ხვავი და ბარაქა“, „როველი“, „შენ ხარ ვენახი“.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი გიორგი როინიშვილის გრაფიკული სერია — „თბილისური ჩანახატები“. ლაკონიური, მხატვრული ხერხებით ხორცშესხმული მურთაზ აბაშიძის იუმორისტული ჩანახატები. ფორმითა და შინაარსით განსხვავებული პორტრეტები აქვს გამოფენილი გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ მხატვარს ვლადიმერ რუსეკაცს: „ლენინი“, „ნონა გაფრინდაშვილი“, „ტარას შევჩენკო“.

ჩვენი ხალხისა და ისტორიის საყვარელმა შთაგონა მხატვარ ლეონარდო შენგელიას შეექმნა გრაფიკული ნამუშევრების სერია — „საქართველოს ისტორიული ძეგლები“. მახვილი პოლიტიკური ხედვით გამოირჩევა მისივე „გერმანული იატაკქვეშეთი“. მნახველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი მხატვრის ოთარ ჯიმკარიანის გრაფიკული სერია „მთათუშეთი“. მიმზიდველად გამოყურება გაიოზ ფოცხიშვილის ზღაპრებისათვის შესრულებული ილუსტრაციები.

დასანანია, რომ გამოფენაში ამჯერად არ მონაწილეობდნენ სხვა ჟურნალისტი-მხატვრები, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ ეს წამოწყება ნამდვილ ტრადიციად დამკვიდრდება.

ნ. ᲒᲣᲙᲘᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: გამოფენის ექსპონატები, ვ. რუსეკაკის „ნონა გაფრინდაშვილი“, ლ. შენგელიას „გერმანული იატაკქვეშეთი“.

ᲒᲐᲦᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ, ᲛᲝᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ

ᲛᲗᲐ ᲔᲥᲘᲛᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

რედაქციამ ხულოს რაიონის ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მცხოვრებლებისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„ᲮᲣᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ შედის 8 სოფელი 9000 მცხოვრებით. ეს სოფლები რაიონის ცენტრიდან 50 კილომეტრით არის დაშორებული. აქ 1958 წელს გაიხსნა საავადმყოფო და ხიხაძირელთა ჯანმრთელობის დაცვას 4 ექიმი ემსახურებოდა. ერთი წელია ხიხაძირში არც ერთი ექიმი აღარ არის. ითობით ავადმყოფი შველას ითხოვს, მაგრამ ადგილზე მშველელი აღარ გყავს. 33-საწოლიანი საავადმყოფო მთლიანად დაცარიელდა. რედაქციავ, იქნებ თქვენ გაგვიწოთ დახმარება“.

□

ცხადია, მაღალმთიანი რაიონების სოფლებს მეტი ყურადღება სჭირდება. მთის ბუნებასთან ადამიანს შეუპოვარი ბრძოლა უხდება. ზამთარში ისეც ხდება, რომ დიდი თოვლის გამო სოფლის გზები იკეტება და კვირების განმავლობაში ყონდლდებათ რაიონული ცენტრთან დაკავშირება. ამიტომაც აუცილებელია მოსახლეობა ყოველმხრივ იყოს მომზრაგებული. მომსახურების სფეროს მუშაკები წინასწარ იჭერენ თავდარიგს, მაგრამ რა ქნას იმ სოფლების მოსახლეობამ, რომელიც სამედიცინო მომსახურებას მოკლებულია? ასეთ დროს მთაში ან ვაივაგლახით აპავთ ექიმი, ან სოფელი ექიმბაშების ამარა რჩება.

ხიხაძირელთა გასაჭირი აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ყურად იღო და ახლახან ექიმი გაგზავნა, მაგრამ ერთი ექიმი რას გაწვდება საავადმყოფოსა და რვა სოფელს?

ეს სოფელი გამონაკლისი როდია. აჭარის ასსრ მაღალმთიანი სოფლების რვა სასოფლო საბჭოში საერთოდ არ ჰყავთ ექიმი, ბარათაულს, წყლისაყარისა და უჩამბის სასოფლო საბჭოებში 10-15 წელია არ ჰყოლიათ ექიმი. მათ სამედიცინო დახმარებას უწევს რაიონული და რესპუბლიკური საავადმყოფოებიდან ერთდროულად ასული ექიმთა ბრიგადები, მაგრამ სოფლებს ხომ ყოველდღიური მზრუნველობა სჭირდებათ?

ამჟამად აჭარაში 196 სამედიცინო თანამდებობაზე შეთავსებით მუშაობენ, ხოლო 123 ადგილი ვაკანტურია, ამას ემატება მრავალი ვაკანტური სამედიცინო თანამდებობა აჭარის კურორტებსა და საზღვაო სანოსსონი. როგორც ვხედავთ, აჭარას ითობით კი არა, ასობით ექიმი სჭირდება.

წინა წლებში, როგორც წესი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გზავნიდა სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სიას, რომელებიც განაწილებული იყვნენ აჭარაში. შარშან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასეთი სია არ გამოუგზავნია. განაწილებისამებრ გამოცხადდა 24 ექიმი, რომელნი იყო განაწილებული ან ვინ არ გამოცხადდა, გაუგებარია. ამ საკითხს იმიტომ შევეხეთ, რომ 1976 წელს განაწილებულთაგან რვა კურსდამთავრებული არ გამოცხადებულა.

თითოეული სპეციალისტის მომზადებას სახელმწიფომ ათასობით მანეთი მოახმარა, ახალგაზრდობა ცოდნით აღჭურვა და ისინი სამუშაოდ უნდა წასულიყვნენ იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა, მაგრამ ზოგიერთებმა განაწილებას თავი აარიდეს და ქალაქში, იქ, სადაც ექიმები ისედაც ჭარბობა არიან, ნახევარ ვინაკვეთს დასჯერდნენ, მაშინ როცა მთელ რიგ სოფლებში ექიმები არ ჰყავთ.

თანამედროვე სოფელი, მით უფრო საქართველოს სოფლები კულტურის მხრივ დიდად არ ჩამორჩებიან ქალაქს. ტელევიზორი, გაზი, კეთილმოწყობილი გზები, თავლწარმტაცი ბუნება, მაღალ კულტურას ნაზიარები სოფლის ინტელიგენცია. ახლა სოფელში ცხოვრება სასიამოვნოც არის და რომანტიკულიც, ხოლო იყო ექიმი და დარჯაჯი ედგე ადამიანთა სიცოცხლეს — ეს ხომ ბედნიერებაა.

ახალგაზრდა ექიმებო! კეთილსინდისიერად მოიხადეთ თქვენი მოვალეობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, თქვენ მოუთმენლად ველოდებიან თქვენ სოფლებში, იქ დაგხვდებათ გულითადი ხალხი და მიიღებთ შესანიშნავ პრაქტიკას, ეზიარებთ ნამდვილ ცხოვრებას. ქვეყანას იქ უნდა ემსახუროთ, სადაც განსაკუთრებით საჭირონი ხართ, სადაც ხალხის ინტერესები მოითხოვს.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲣᲜᲓᲘ — ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ — ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ უკვე იტყობინებოდა, რომ პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო ახალი პრიზი—„გუნდთან ერთად“ (გუნდი—სტადიონი—მაყურებელი), რომელიც უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის გამარჯვებულ საფეხბურთო სეზონის ბოლოს გადაეცემა. ახლა კი გაგაცნობთ აღნიშნული პრიზის გათამაშების დაწვრილებით პირობებს, გაგაცნობთ იმას, თუ როგორ მოხდება ქულების დაჯამება:

პირველი მაჩვენებელია მაყურებელთა რაოდენობა: როცა დასწრება 20-დან 50 ათასამდე იქნება გუნდს დაეწერება 100 ქულა. 20 ათასზე ნაკლები ითოეული ათასი მაყურებლისათვის აკლდება 5 ქულა, 50 ათასზე მეტი ითოეული ათასი მაყურებლისათვის ემატება ერთი ქულა. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილი საფეხბურთო ანგარიშების მიხედვით.

მეორე მაჩვენებელია სტუმართა მიღება, სტადიონის მზადყოფნა (სტადიონის გარეგნული სახე, მინდვრის, გასასხდელების, მსაჯთა ოთახის, რადიოინფორმაციის, პრესცენტრის და ა. შ. მდგომარეობა და კეთილმოწყობა). რომელიმე პირობის შეუსრულებლობისათვის პრიზის პრეტენდენტს აკლდება 10 ქულა, ორი და მეტი პირობის შეუსრულებლობისათვის — 20. სტადიონის არენდატორი გუნდები მასპინძლებად მიიჩნევიან და ისინი ვალდებული არიან შეასრულონ დებულების ყველა პირობა. ცნობებს ამ მაჩვენებელთა შესახებ საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს აწვდიან მატჩების ინსპექტორები.

მესამე მაჩვენებელი. გუნდს, რომლის მოთამაშემაც გაფრთხილება მიიღო, აკლდება 10 ქულა, მოთამაშის მინდვრიდან გაძევებისათვის — 20. თუ გაფრთხილებულია ან გაძევებულია სტუმართა გუნდის მოთამაშე, გუნდს ქულები აკლდება ამ შემთხვევის შემდეგ საკუთარ მოედანზე პირველსავე მატჩზე.

მეოთხე მაჩვენებელი. მხედველობაში იქნება მიღებული მაყურებელთა ქცევა, რომლის ფიქსირებასაც ანდენენ მატჩის ინსპექტორები, მსაჯები, ფეხბურთის სამმართველოსა და პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს წარმომადგენლები, სსრ კავშირისა და პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციების წევრები, ჟურნალისტები. იმ შემთხვევაში, თუ მაყურებლები უპატივცემლოდ მოეპყრობიან ფეხბურთელებსა და მსაჯებს, ანდა ჩაიდენენ ისეთ სხვა მოქმედებას, რაც შეჯიბრების ნორმალურად წარმართვას შეუშლის ხელს, გუნდს დააკლდება 30 ქულა.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ

41-Ე ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი ლიგის გუნდები დღეს მეორე ტურის შვიდ მატჩს გამართავენ. აი ვინ-ვის ხვდება: „კაიხატი“-ცსკა, „პახტაკორი“-„ლოკომოტივი“, „არარატი“-„ტორპედო“, „ნეფტჩი“-„ზენიტი“, „ჩერნომორეცი“-„სპარტაკი“, „დნეპრი“-„ზარია“.

თბილისს დინამოელები უმასპინძლებენ თავიანთ ჯერეულ თანაკლუბელებს. საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილელები და კიეველები ერთმანეთს შეხვდნენ 71-ჯერ. აქედან თბილელებმა 23 მატჩი მოიგეს, 28 ფრედ დაამთავრეს. ხოლო 23 წაგეს. ბურთები — 104:93 თბილელთა სასარგებლოდ.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — „ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ“

მოსკოვის „დინამო“ დღეს თასების მფლობელთა თასის განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრას გამართავს ვენაში ადგილობრივ „აუსტრიასთან“.

მოსკოველები ვენაში კვირას ჩავიდნენ. მატჩის არბიტრი იქნება პორტუგალიელი და სილვა გარიდო. „აუსტრიის“ მწვრთნელმა შტესლმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ორივე გუნდს ფინალში გასვლის თანაბარი შანსები აქვს. მისი გუნდის შემადგენლობა ისეთივე იქნება, როგორიც თბილისში. მას მხოლოდ დაჭსბახერი აფიქრებს, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში ტრავმა მიიღო.

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა თბილისისა და კიევის დინამოელ დუბლიორთა გუნდების შეხვედრა. პირველ ტაიმში ეერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა კარის აღება. შესვენების შემდეგ კიეველებმა გაიტახეს ერთი გოლი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამინაშვილი, რუხაძე, დურღიაძე, გოგოლაძე, ხადირაშვილი, მინაშვილი (ახობაძე), ებანოიძე, ძებისაშვილი, ჩელებაძე, ბაზაზაშვილი, მუმლაძე (მარტიაშვილი).

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ზონალური ტურნირის მეხუთე ტური წინა ტურებთან შედარებით უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. ბალაშოვმა (მოსკოვი) მოუგო გულკოს (მოსკოვი), გელერმა (მოსკოვის ოლქი) კი კუზმინს (ცოროშილოვგრადი). დანარჩენი პარტიები გადადო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ტურში ერთადერთი პარტია გადადო. ოსტატმა ზაიჩენკომ, რომელსაც დაეაწყისში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა ოსტატ ნინ. იოსეფიანთან, ეტყობა, ვერ აირჩია კარგი გეგმა. ახლა გადადებულ პარტიაში ევროპის თასის მფლობელს გოგონათა შორის ყაიმის კარგი შესაძლებლობა აქვს. გედევანიშვილმა სიცილიური დაცვის დროკოინის ვარიანტში ხარისხი მოუგო ოსტატ შახტახტინსკის (სოხუმი). პარტიის ტექნიკური სტადია გედევანიშვილმა კარგად წარმართა და მოიგო. ოსტატმა უბილავამ მოუგო დადიანს (სოხუმი), ოსტატმა სტურუამ — კაპანაძეს. ოსტატმა ჩიქოვანმა — მაჭარაშვილს, არნავაძემ (სამტრედია) — ჩანიბაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ ლომაძე (რუსთავი) — ნეფერინოვი (ბათუმი) და ციხელაშვილი-კუზმინი.



ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲒᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

„ჩიბურდანიძის ბუდაპეშტში“ — ასე ასათაურებს უნგრეთის სპორტული გაზეთი „ნეპშპორტი“ თავის საკადრაკო მიმოხილვას. მიმოხილვა ეძღვნება ბუდაპეშტის ქალთა ტრადიციულ საგაზაფხულო ტურნირს, რომელიც, როგორც წესი, ძლიერ შემადგენლობას იკრებს ხოლმე.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს ბუდაპეშტის ტურნირის შემადგენლობა. 14 მონაწილეს შორის 7 სტუმრია. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე (საბჭოთა კავშირი), საერთაშორისო ოსტატები ილეანოლავიანი (ეკვადორი), ბერეგი (ბულგარეთი), ოსტატები ვორხი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და შმაჩინსკა (პოლონეთი). რაც შეეხება მასპინძლებს, მათგან უძლიერესი მოჰადრაკეები გამოდიან: უნგრეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ვერეცი-პეტროსიანი, საერთაშორისო ოსტატები ივანკა, მაკაი, პორუბსკი, კრიშანი, ოსტატები კაში და ტომპა.

რა შეიძლება ითქვას ამ შემადგენლობის შესახებ? პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტად, რა თქმა უნდა, მაია ჩიბურდანიძე უნდა მივიჩნიოთ, მის მთავარ მეტოქეებად — ივანკა და ვერეცი-პეტროსიანი.

დიდი გამოცდილება აქვს მაჩვენს. იგი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-უგოსლავიის მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა და დამარცხდა მაშინ სრულიად ნორჩ ჩიბურდანიძესთან ანგარიშით 0:4. გულშემატკივრები ხუმრობდნენ, რომ კალხბრენერმა სწორედ ამის შემდეგ შეიცვალა... გვარი!

ტურნირი დღეს იწყება და 27 აპრილამდე გასტანს.

Ბ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲛᲐᲡᲢᲘᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — „ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ“ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ.

Თ. ᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა პრესის უხუცესი მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, ცნობილი ლიტერატორი ვეფხო აბრამის ძე **აკობაშვილი.** მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა ქართულ პრესას და მწერლობას.

ვ. აკობაშვილი დაიბადა 1897 წელს თიანეთში, ფშაველი გლეხკაცის ოჯახში. დიდ ქართველ პოეტთან ვაჟა-ფშაველასთან სიახლოვემ სიყმიდანვე გაუღვიძა ვეფხოს სიყვარული ქართული მწერლობისადმი, მან სიჭაბუკეშივე დაიწყო ლექსების, პუბლიცისტური წერილების და თეატრალური რეცენზიების წერა.

1908 წელს ვეფხოს მამა თბილისში გადმოვიდა, აქ ვეფხოს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა დაასწავლებოდა ჩვენს მწერლებს. 1914-1915 წლებში იგი ეცნობა ი. გრიშაშვილს, გ. ლეონიძეს, გ. ჭუბინაშვილს, ნ. ჩხიკვაძეს და სხვებს. ყველა ისინი მაშინ ახლად გამოსულები იყვნენ სამწერლო ასპარეზზე. მათ გულთბილად მიიღეს თავიანთ წრეში მთიდან ჩამოსული ჭაბუკი, ყოველმხრივ ხელი შეუწყვეს. ჭამოპყავდათ ლიტერატურულ საღამოებზე, აკითხებდნენ ლექსებს, შემდეგ მეგობრებმა მას სპეციალური ლიტერატურული საღამოებიც მოუწყვეს ჯერ ქართულ კლუბსა (შემდგომში გრიბოედოვის სახლობის თეატრის შენობაში) და შემდეგ სახალხო სახლში (ახლანდელ მარჯანიშვილის თეატრის შენობაში). ამ საღამოების მოწყობის თაოსნობა იოსებ იმედაშვილმა იკისრა, მათში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პოეტებისა, მონაწილეობდნენ დავით კასრაძე, მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი, ჭაზიერას დასტა და სხვ.

იმავე ხანებში ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ვეფხო აკობაშვილის პირველი ლექსები.

მაგრამ სულ მალე ის ჟურნალისტის მძიმე და სპეციალურ საქმეებზე, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, 1921 წელს იგი შედა — კომუნისტურ პარტიაში. ... ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან 1925 წლამდე იგი რედაქტორობს სოციალიალის სამაზრო გაზეთს „სომართლეს“. 1925 წელს თბილისში გამოსვლას იწყებს გაზეთი „ახალი სოფელი“, ვეფხო ამ გაზეთის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, როგორც ძისი პირველი პასუხისმგებელი მდივანი; იმავე ხანებში რედაქტორობს ჟურნალ „ახალ სოფელს“, იუმორისტულ ჟურნალ „შოლტს“, პარალელურად ეწევა დაუცხრომელ პუბლიცისტურ საქმიანობას, აქვეყნებს წერილებს „კომუნისტის“, „დროშის“, „ლიტერატურული გაზეთისა“ და სხვა ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე. იგი ავტორია მრავალი წერილისა, რომლებშიც ჩვენი ცხოვრების უაღრესად საჭირბოროტო საკითხები იყო აღძრული.

ვეფხო აკობაშვილის წიგნებიდან ამ ერა უნდა დავასახელოთ „ცხრა ინვარი“, „სოფლის მეურნეობის საკითხები“, „მოგონებანი ვაჟაზე“. მასვე ეკუთვნის ქართული თარგმანი ბულგარელი მწერლის გიორგი კარასლავოვის რომანისა „იუტალანის რძალი“.

გაზეთ „კომუნისტისა“ და ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ვეფხომ გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო მოგონებები გიორგი ლეონიძეზე, ილო მოსაშვილზე, ნიკო ფიროსმანაშვილზე. მას დაუბეჭდავი დარჩა მოგონებები გალაკტიონ ტაბიძეზე, სახლრო ახმეტელზე, ი. გრიშაშვილზე, შალვა დადიანზე, შიო მღვიმელზე, გიორგი ქუჩიშვილზე...

ვ. აკობაშვილი იყო თავმდაბალი, ჩუმი და უპრეტენზიო კაცი, მთელი თავისი ენერგია, მთელი სიცოცხლე მან შესწირა თავის საყვარელ ქართულ გაზეთსა და ჟურნალს, ურომლებოდაც მას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მკითხველების და მეგობრების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲙᲝᲙᲘᲡᲙᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡᲗᲐᲜ

□ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲐᲞᲠᲘᲚᲘ □ ᲝᲠᲜᲘ ᲓᲐᲢᲑᲝᲠᲘᲚ „ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ“ □ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲨᲘ ᲓᲔᲒᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘ აპრილი ღრმად მოხუცებულა კი არ ახსოვთ.

ამინდი, განსაკუთრებით ბოლო დღეებში, გაუარესდა. კოკისპირულმა წვიმამ უჩვეულოდ აიდინა მდინარეები. სიმაღლე და ბობოქარი გახდა ყვირილა. ჭალის მეურნეობებში წყალმა დატბორა სასოფლო-სამეურნეო საკარგულები. განსაკუთრებით სერიოზული ზარალი მოუვიდა თერჯოლის რაიონის კვახურის მეძროვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას, სიმონოს, ნახშირდელის კოლმეურნეობების ბოსტნებსა და შვრიის ყანებს. შესაძლოა საჭირო გახდეს 300 ჰექტარი ბოსტნეულისა და 200 ჰექტარი შვრიის ხელახალი დათესვა.

წყალდიდობასთან საბრძოლველად შეიქმნა ოპერატიული შტაბი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ა. ბურჯანაძის მეთაურობით. დღედაღამ ფეხზე იდგა რაიონის აქტივი და ყველაფერს ღონობდა იმისათვის, რომ რაიმე მსხვერპლი არ მოპყოლოდა სტიქიის მომძლავრებას.

პირველი საგანგაშო სიგნალი 8 აპრილს ღამის 3 საათზე მიიღეს. აზვირთებულმა ყვირილამ გაგლიჯა სოფელ ბარდუბანთან ბორნის ბოგირი და მებორნე მიხეილ გიორგაძე დამხმარე მელიტონ ბარდაველიძესთან ერთად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აბობოქრებულ მდინარეში დარჩენილ პატარა კუნძულზე, კოკისპირულ წვიმაში, სიცივეში, ყოველწუთს დახრჩობის მოლოდინში მყოფი ადამიანები მარტონი როდი დარჩნენ ამ გასაცდელის ჟამს. მათ გადასარჩენად ბარუუბანში გაჩნდა მაშველი რაზმი ბ. ნიკუტიაძისს მეთაურობით. ბრძოლა სტიქიასთან თითქმის ერთი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ვაჟკაცობამ და თავდადებამ გაიმარჯვა. 10 აპრილს „კუნძულზეს“ შემორჩენილნი სამშვიდობოზე გამოიყვანეს. მშველელებმა მთელი რაიონის მშრომელთა გულწრფელი მადლობა დაიმსახურეს.

მთავარია, რომ სტიქიას, ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყავს, — თქვა საუბარში შტაბის უფროსმა ა. პოჯანაძემ. — სხვა მხრივ საწუწუნო არაფერი გვაქვს. უკვე ვიღონეთ ყველაფერი ზარალის ასანაზღაურებლად. გამოყოფილია ტექნიკა, თესლი, ჩითილი განადგურებული ბოსტნების ასადგენად. გარდა ამისა, თესլიის დამატებითი გეგმები მივეცით რაიონის სხვა კოლმ